აშშ მთავრობის გაცვლითი პროგრამების საქართველოს მონაწილეთა ასოციაცია

EPAG

გიწვევთ კონფერენცია/დასაქმების ფორუმზე

USG Alumni for Better Georgia

June 27, 2015

Hotel Radisson Blu Iveria

ამერიკის მთავრობის გაცვლითი პროგრამების საქართველოს კურსდამთავრებულთა ასოციაცია,იწვევს სტუდენტებს კონფერენცია / დასაქმების ფორუმზე - USG Alumni for Better Georgia. 2015 წლის 27 ივნისი.

პროექტის მიზანია ერთდღიანი კონფერენციის გზით, ქართველი ახალგაზრდებისთვის ამერიკის შეერთებულ შტატებში მიღებული განათლებისა და გამოცდილების გაზიარება. კონფერენციას გაუძღვებიან სხვადასხვა სფეროში და პროფესიაში გაცვლითი პროგრამების წარმატებული კურსდამთავრებულები, რომლებიც წაიკითხავენ საინტერესო ლექციებს და გამართავენ დისკუსიას დღევანდელი გამოწვევებისა და აქტუალური თემების შესახებ. პროექტის ფარგლებში, თქვენ ასევე საშუალება გექნებათ მონაწილეობა მიიღოთ დასაქმების ფორუმში, სადაც ასოციაციის მიერ მოწვეული კომპანიები წარმოადგენენ ვაკანსიებს და გაესაუბრებიან დაინტერესებულ კანდიდატებს.

საინტერესო ლექციებზე დასწრების და დასაქმების ფორუმში მონაწილეობის გარდა, თქვენ საშუალება გექნებათ შეხვდეთ გაცვლითი პროგრამების კურსდამთავრებულებსა და ამერიკის საელჩოს წარმომადგენლებს, გაიგოთ მეტი ამერიკაში სწავლის შესაძლებლობებზე და გამოიყენოთ მიღებული გამოცდილება თქვენი უკეთესი მომავლის ფორმირებისთვის.

27 ივნისი, 2015

თბილისი

სასტუმრო Radisson Blu Iveria

კონფერენცია / დასაქმების ფორუმი

USG Alumni for Better Georgia

პანელები და ლექციები

არქიტექტურა

- მდგრადი არქიტექტურა
- არქიტექტურული ეპისტემეები
- ღია ცის ქვეშ მუზეუმები

ეკონომიკა

- ინვესტიციების მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში
- მონეტარული პოლიტიკა და გამოხმაურება საგარეო მუხტზე
- ფისკალური პოლიტიკა

ევროკავშირში ინტეგრაცია

- მიგრაცია / რეინტეგრაცია
- ვიზა ლიბერალიზაცია
- თავისუფალი ბაზარი

ლიდერობა და მენეჯმენტი

- ლიდერობა და ეფექტური კომუნიკაციები
- მენეჯმენტი

პრეზენტაცია საზღვარგარეთ სწავლის პერსპექტივებზე და ვორქშოფი

- ამერიკის შეერთებულ შტატებში სწავლის შესაძლებლობები
- გაცვლითი პროგრამები
- ონლაინ ლექციები და კურსები
- Workshop-ი თემაზე: როგორ შევადგინოთ ეფექტური CV *და სხვ.*

ვის შეუძლია მონაწილეობის მიღება: კონფერენციაში და დასაქმების ფორუმში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერი უნივერსიტეტის სტუდენტს, რომელიც წინასწარ დარეგისტრირდება შემდეგ ბმულზე - http://goo.gl/forms/3Vkw8uDFz3

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მონაწილეთა რაოდენობა შეზღუდულია 120 -მდე, და კონფერენციაზე დასწრებას, მხოლოდ დროულად დარეგისტრირებული სტუდენტები მოახერხებენ.

<u>რეგისტრაციის ბოლო ვადა - 2015 წლის 24 ივნისი !</u>

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით email - ზე epag.info@gmail.com
ან ტელეფონის ნომერზე 598 35 48 85